ფასი 10 მ.

ეშმაკის მათრახი



№ 30

1920 წ.
ივნისის 20

ოცნება და სინამდვილე

1 ოცნება*)

როგორ ჰქონდა წარმოდგენილი რუსს კომუნისტური ცხოვრება.

*) სინამდვილე იხ. მე-16-გვერდზე.

სოვეტნიკები

უმორჩილესი ჩემი თხოვნაა:

— ნუ დამძრახავთ!

მართალი თუ გნებავთ, დასაგმობი და დასაძრახი ჩემს მოქმედებაში არაფერიც არ არის. უბრალო ეშმაკობა ეშმაკს კი არა, ისეთ ანგელოზებსაც მიეტევება, რომელთა შესახებაც მე სიტყვა მსურს.

იმ სახლს, რომელიც ქალაქის მოურავმა მდგმურებს დააცლევინა მოსკოვიდან მომავალ დელეგაციისათვის, მშვენიერი ავტომობილი მიადგა.

ავტომობილიდან გამოვიდა ახალგაზრდა, ლამაზ-ლამაზი კაცი, ამხ. კიროვი, და მისთვის დამზადებულ სახლში შევიდა.

აი ეს ლამაზ-ლამაზი და ახალგაზრდა კაცი მე ვიყავი და არა ნამდვილი კიროვი, რომელიც ალბათ ცოტა სხვანაირი შეხედულებისა იქნება.

ქართული (და არა ქართველი) კომუნისტების ამბავი მე ჩინებულათ ვიცი: მათ საუცხოვო აგენტურა აქვთ მოწყობილი. ცნობებს არა თუ მართალს, მოჭორილსა და შეუსაბამოსაც ელვის სიწრაფით ავრცელებენ. საკმარისია კატამ სადმე კუდი ასწიოს, რომ ეს ამბავი უკვე მთელმა საკომუნისტო ქვეყანამ იცის და თუ კატის კუდის აწევა მათ სასარგებლო, ან საწინააღმდეგო აჯანყებათ არ აქციეს, უბრალო კატის კუდის აწევათ მაინც არ დასტოვებენ.

ამიტომ, მე ავტომობილიდან ბარგის გადმოტანაც ვერ მოვასწარი, რომ თფილისის ყველა კომუნისტმა უკვე იცოდა ჩემი ჩამოსვლა, რომელსაც ყოველი მათგანი ცხადია მოუთმენლობით მოელოდა.

ხუმრობა საქმე ხომ არ არის ბატონის ჩამოსვლა!

შემდეგი ნაამბობის გასაგებათ საჭიროა მცირეოდენი განმარტება: ქართული კომუნისტები სამ უმთავრეს ჯგუფათ იყოფებიან: 1) „ტაინი სოვეტნიკები“ (ფილიპე მახარაძე, ორჯონაკიძე, ლომინაძე, კვანტალიანი და სხვ.) 2) „სოვეტნიკები“ (მიხა ცხაკაია, თეოდორე ღლონტი, გერონტი ქიქოძე, მ. ტოროშელიძე და სხვ.) და 3) „მლადშიე სოვეტნიკები“ (სერიოჟა ქავთარაძე, ნატალია ქიქოძისა, ს. თ-რია და სხვ.)

ეს დანაწილება, რა თქმა უნდა, დამსახურების მიხედვით არის გამოწვეული და არა მათი ნიჭისა თუ მომზადების და მე მგონია ეს პრინციპი საკმაოდ სწორი და მისაღებია.

ერთი პატარა განმარტება კიდევ მინდა შემოგაპაროთ შემდეგი მოთხრობის გასაადვილებლათ.

მე კარგათ მესმოდა ჩემი მძიმე მდგომარეობა. ვიცოდი, რომ კომუნისტები უბრალო სიტყვებს არ უჯერიან, რომ მათთვის ნივთიერი საბუთებია საჭირო და ამისთვის წინასწარ ჩამოვაყენე ამხანაგ ზაქარია გურულს მთელი დიუტინი ნამდვილი რუსული მკბენარისა წითელ ხიდის ფრონტიდან, სადაც ჩვენი გვარდია ძლიერ ეჭირისუფლა კომუნისტთა მცირე რაზმს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყველა ურწმუნო კომუნისტს შეიყვანდა შეცდომაში, ისეთი ჯიშიერი და მოზრდილი მკბენარები ეშოვა ჩემს მეგობარს. მე ისინი სხვა და სხვა თვალსაჩინო ალაგას დავისხი, რომ ჩემს სტუმრებს პირდაპირ თვალში სცემოდა და ყოველივე მათი ეჭვი გაეფანტა. მნახველები აი უკვე საკმაოდ მიეკროვდენ ჩემს მისალამ ოთახში, საიდანაც გარკვევით მესმოდა ფილიპე მახარაძის (რომელიც თითქმის ხუთი წუთია რაც მოვიდა) მწარე სიტყვები:

— Это, какъ его, это на что похоже! Цѣлый день ждать приома, это, как его, это невозможно!..

მესმოდა სხვა ნაცნობი ხმებიც, განსაკუთრებით მუქარა ქ-ნი ქიქოძისა და რაკი უკვე ყველაფერი კომუნისტურ რიგზე იყო მოწყობილი, ვუბრძანე მნახველები შემოეშვათ.

კარები გაიღო და ოთახში დაბალ-დაბალი მოხუცი შემოვიდა. იმისი სახე თითქო სადღაც მენახა, მაგრამ ვერ გავიხსენე სად ან როდის; უფრო კი ერთ-ერთ მექისეს ვამსგავსე ორბელიანის აბანოებიდან.

— მობრძანდით ბატონო ჩემო! მივესალმე გასამხნევებლათ, ვინაიდან შევატყვე, რომ მოხუცი ძლიერ დარცხვენილი და შეშინებული შემოდიოდა.

— ფილიპე მახარაძე!.. ტაინი სოვეტნიკი.. თქვენი დელეგაციისა.

— ფილიპე მახარაძე?... ღმერთო ჩემო!... მე კინაღამ დამბლა შემემთხვა. ნუთუ ეს მართლა ფილიპე მახარაძეა?... იმისი საბლალოჩინო წვერისაგან მხოლოდ საცოდავი ნაშთიღა დარჩენილიყო, როგორც ნამჯა ოქროსფერი ყანის მომკის შემდგომად.

— რას გვიბრძანებთ, ბატონო ფილიპე?

— უკაცრავათ... это невозможно, გთხოვთ გამაგებინოთ ვისთან გვაქვს საქმე... ამხანაგ კიროვთან თუ...

— დიახ, დიახ. ამხანაგ კიროვთან. რას გვეტყვით ახალს და სანუგეშოს?

— მე, ამხანაგო, არა ერთხელ მომიწერია სოვნარკომისათვის, თუ რა ესაჭიროება ამიერ კავკასიას.. დავიწყოთ ნოე ჟორდანიასაგან...

— როგორც გზა და გზა შევნიშნე ხალხი ძლიერ ემადლიერება მთავრობას და განსაკუთრებით მის თავმჯდომარეს...

— Это ложь! მე მოვწერე სოვნარკომს თუ როგორ ტანჯვა-წამებას განიცდის ხალხი ნოე ჟორდანიას აქ...

— საზოგადოთ ხალხი დამშეულია?

— Это онъ мелкобуржуазный писатель... А это, какъ его, голодъ конечно будетъ. Они вообще предатели!...

— ჩვენს ზავს საქართველოსთან როგორ უყურებთ თქვენ, ამხანაგო?

— Я уже доносилъ какъ его, совнаркому, რომ, თუ ჩვენ გვინდა აღმოსავლეთში დავანთოთ კომუნიზმის ცეცხლი, საჭიროა ნოე ჟორდანიას მთავრობა, какъ его, გავსტეხოთ და წითელი ჯარების ხიშტებზე კომუნიზმის წითელი დროშები გავიტანოთ ანატოლიასა და ბაღდადზე. Ной Жорданія, это какъ его, буржуй.

— ტრანსპორტის საქმე, როგორც შევნიშნე საკმაოდ მოწესრიგებულია!..

— რკინის გზა რასაკვირველია... Но это, какъ его, Ной Жорданія имперіалистъ! Он шубу носит даже зимой. ამას მე დღესაც ხაზს ვუსვებ!

ამ სიტყვების გაგონებაზე კინალამ თავბრუ დამესხა. ის იყო უნდა ვცემოდი ჩემს მოსაუბრეს, მაგრამ გამახსენდა ჩემი საპასუხისმგებლო როლი, გულის წყრომა დავიმორჩილე და განვაგრძე დამშვიდებული ბაასი.

— ფინანსიური მდგომარეობის შესახებ რას გვეტყვით ამხანაგო? ფილიპე

— მთელი მისი ნაწერები, это какъ его, ничего не стоятъ! მე არ მაძლევდენ ნებას მის წინააღმდეგ სტატიები მეწერა, а то я бы показалъ это какъ его როგორ უნდა წერა, а Ной жорданія...

— მე, ამხანაგო ფილიპე, ფინანსთა შესახებ...

— Это невозможно .. Это какъ его, это прямо насиліе, финансы тоже конечно, какъ его .. не важно.

— ჯარისა და გვარდიის შესახებ რა ცნობები შეგიძლია მოგვაწოდო, ამხანაგო?

— იმას ვითომ ტაქტიკას უწოდებენ, какой онъ тактикъ, это какъ его, он прямо имперіалистъ. Ной Жорданія...

მისაღებ ოთახში მოულოდნელი ხმაურობა შეიქნა. გარკვევით ისმოდა მოხუცი ქალის ხმა:

— შემიშვით! მე რიგის მოცდა არ შემიძლია. ჩემი საქმე საჩქაროა.

— არ შეიძლება ქალბატონო, აქ ამდენი სოვეტნიკები სხედან, ყველანი სამსახურის ხალხნი არიან, ჯერ ესენი უნდა შევიდნენ! — ამშვიდებდა მეკარე.

— ეს არის თქვენი თავისუფლება? ეს არის თქვენი თანასწორობა? მკვახეთ უპასუხებდა სტუმარი მანდილოსანი.

— დაწყნარდით, ქალბატონო, ჩვენ ყველანი რიგს ვუცდით, დინჯათ შენიშნა მიხა ცხაკაიამ, რომელიც პირველ რიგში იდგა ფილიპეს შემდეგ.

მიუხედავად ხმაურობისა მე მაინც მსურდა განმეგრძო ფილიპესთან ლაპარაკი. ვიცოდი, რომ მას სიტყვის გათავება ძლიერ უჭირს და არ მინდოდა გულნაკლული გამეშვა, მაგრამ ის თითონ წამოდგა, ერთობ აღელვებული და ხელი გამომიწოდა...

— ნუ თუ მიბრძანდები, ამხანაგო?

— დიახ, პარტიული კრება მაქვს დანიშნული... ცოტა მეჩქარება...

— მე კი გთხოვდით, რომ თქვენი ძვირფასი რჩევა განგეგრძოთ...

— Это невозможно. მეჩქარება არ შეიძლება აქედან გავიდე?

მიმითითა ფილიპემ უკანა კარებზე.

— აი აქედან, სადარბაზო კარებიდან მიბრძანდით.

— იქიდან არა, არ მინდა это какъ его, მე აქედან მირჩევნია..

— ეს კარები დაჭედილია.

— მაშ ფანჯრიდან...

— აბა რასა ბრძანებთ... აი კარები ამხანაგო, მაკვირვებს თქვენი სიმორცხვე.

— Это насиліе... буржуазный., какъ его, предрасудокъ, მე ფანჯრიდან მინდა.

არ გასჭრა ჩემმა თავაზიანმა თხოვნამ! ფილიპე მახარაძე ფეხაშვერით გადაეშვა ფანჯარიდან ბალში, ბალიდან ქუჩაში და გაჩქარებული ნაბიჯით გაემართა ალბათ „კომუნისტის“ რედაქციისაკენ.

მე კი ჩემს ოთახში მიხა ცხაკაია შემოვიპატიჟე,

(შემდეგი იქნება)

ეშმაკი.

ჰატარა ფელეტონი.

იმპერიალიზმი.

ქართული კომუნისტი,
ლოლიკით აღსავსეა!...
ვფიცავ ორჯონიკიძეს,
რომ ეს, სწორეთ ასეა!
მუდამ შმაგი, მრისხანე,
მუდამ მოუსვენარი,
(ენერგიით აღსავსე,
ვით რუსული მკბენარი),
როცა დაასკუპდება.
სხვათა ტერიტორიას,
თუ ვინმემ შეუძახა,
ასტეხს მთელ „ისტორიას“.
(მთიელთა რესპუბლიკა,„
„ყუბანი“, გინდ „დონია,“
ამის დასამტკიცებლათ
გამოდგება მგონია...)
როცა ადირბეიჯანს
შავი დღე დაუყენეს:
(განჯის მუსულმანობა
საფლავში ჩაასვენეს)
როცა ტურფა ქალაქი
მისცეს ცეცხლს და მახვილსა
(თან ნამუსიც აჰხადეს
ათას ხუთას ყმაწვილსა)
იმპერიალისტობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ არვის გაახსენდა...
(აშკარაა, ეს იმ დროს
იმათ თავს აატკენდა!)
ჩინებული რამეა
მათი „თვით გამორკვევა,“!..
(როცა თავი ტანისგან
სრულიად წაგერთმევა!!)
ქართველი კომუნისტი
ლოღიკით აღსავსეა.
ფილიპეს გეფიცებით,
რომ ეს სწორეთ ასეა!..
და როცა ჩვენს სამშობლოს
ოსის ხულიგანები,
მესამეთ თავს დაესხენ
(რუსთა მონაყვანები,)
და როცა საქართველომ
ცოტა შეუცაცხანა...
როცა ოს „კომუნისტებს“
მიჰხვდა ქეჩოს მოფხანა,
როცა ჩვენი გვარდია
ცხინვალს ეპატრონება.
ქართული „კომუნისტის“
მყის შეშფოთდა გონება;
— იმპერიალიზმია!
დახეთ შოვინისტებსო!
რა რიგ აწიოკებენ
ჩვენს ძმა კომუნისტებსო!“
ლოღიკაა, აბა რა
ჯანაბა და ხუსტური?
მაგრამ ეს ლოღიკაა
წმინდა „კომუნისტური!!
კომუნისტი ქართველი
ლოღიკით აღსავსეა..
გეფიცებით „კომუნისტს“,
რომ ეს, სწორეთ ასეა.

მორიელი.

კოსტიუმი.

„ცუდი ცოლისა ყოლასა სჯობს
კარგი ცოლისა ყოლაო“
ტ XIII, გვ. 257. **ხოლ. ზურგიელიძე.**

მთელი ზამთარი მოსვენებული ვიყავი. გაზაფხულდა და დაიწყო ჩემი ტანჯვა. შემომიჩნდა ცოლი: გინდა თუ არა კასტუმი მიყიდეო.

— სულიკო, გენაცვალე! საზღვარ გარეთია, ბათუმი. საქართველო ხომ არ გგონია შენ?! ერთი კოსტიუმი 20,000 მანეთი ღირს. აბა, საიდან უნდა ვიშოვნო ამოდენა ფული.

და გადავშალე ჩემი ფინანსიური მოსაზრებანი, ვითარცა ფინანსთა მინისტრმა.

— თვეში რვა ათას მანეთს ვიღებ ჯამაგირს. ვხარჯავ 15000 მან. ყოველ თვიური ბიუჯეტის დეფიციტი 7000 მანეთს უდრის; წელიწადში 84000 მანეთის დეფიციტი. აბა სად უნდა ვიშოვნო კოსტიუმის ფული. ხომ გახსოვს ახალწელიწად ღამეს რა ფინანსიური თათბირი გვქონდა. მაშინ ჩვენ ხარჯთ აღრიცხვაში კოსტიუმი არ შეგვიტანია! თეთრი ტუფლები სწერია და გიყიდი კიდეც. ხომ ხედავ მე ამ კოსტიუმით 5 წელიწადი დავდივარ. ჩვენი მევალე ოქროს ხასიათისაა, თორემ ციხეში ჩამსვამს. ხუმრობა ხომ არაა 84000 მან. მოულოდნელი ხარჯები 16000 მან. სულ 100,000 მან.

ეს უკანასკნელი 16000 მან. განგებ ჩავამატე, შთაბეჭდილების მოსახთენათ, რომ სწორეთ 100000 მან. გამხდარიყო, მაგრამ თქვენ არ მოუკვდეთ ჩემ თავს!

როგორც სვ. ავალიანის ფინანსიურ მოსაზრებებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ეს-ერების ფრაქციისათვის, ისე ჩემმა ფინანსიურმა მოსაზრებებმა ვერავითარი გავლენა ვერ იქონია ჩემ ცოლზე.

— დაგიჟინია 100,000 მან. დეფიციტი! შენ კი არა ინგლისის მთავრობას რამდენიმე მილიარდი დეფიციტი აქვს, მაგრამ ინგლისელებს ფული მაინც ბევრი აქვთ. არ ვარგხარ... უპრავის აგენტები მილიონერები გახდენ და შენ სადღაც კანტორაში უნდა დამჟავდე...

— ელია, გენაცვალე! მე და ინგლისელები რა შესადარებელი ვართ. ინგლისელები ერთ დღეს რომ ჯარიმას გადაახდევინებენ ბათუმის მოქალაქეებს ის ფული რო მომცა წელიწადში ხუთ კასტიუმს შეგიკერავ.

— რო მოგცა, მაინც არ შემიკერავ! წახვალ და ეროვნულ საბჭოს შესწირავ!

— ეროვნული საბჭო რაღა შუაშია, გენაცვალე!

— რა შუაშია და რო მიაჩინჩილე 4000 მან. სადაური სპეკულიანტი მყავდი?!

— ელო, ჩვენ ეროვნულ საბჭოს ჩვენ თუ არ შევინახავთ, აბა ვინღა შეინახავს...

— მე მაგას არ გიუბნები. მე იმაზე მომდის გული, რომ შენც 4000 მანეთს იხდი და საბაევიც.

— საფინანსო კომისიამ ასე გააწერა... და — დამებნა ენა, რადგან საფინანსო კომისიის უსამართლო განაწილებას მეც ვგრძნობდი.

— გააწერა, გააწერა! მაშ საფინანსო კომისიამ რო გააწეროს, უყიდე კოსტიუმი ელოსო, უყიდი?

— ჰა, ჰა, ჰა,! უთუოდ გიყიდი! აჰ, აჰ! აჰ!

ვიცინოდი გახარებული, რომ უსიამოვნო საუბრის ხუმრობით გათავების საბაბი მომეცა.

— კარგია, ელია! ახლა დავწვეთ, დავისვენოთ; ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს.

— მოიცა, მოიცა, ვაჟბატონო! ახლა ველარ მომატყვილებ შარშანდელივით. ხვალ, ხვალო! გავიდა სეზონი და ახლა რაღათ გინდა კაბა მოდა აღარ არისო. არა ჩემო კარგო! ეხლავე მითხარი:

— მიკერავ კასტიუმს თუ არა?

გამახსენდა მუსავატისტები, იტიხადმა და „კომუნისტებმა“ რომ ულტიმატუმი დაუყენეს: გაბალშევიკდები თუ არაო.

გამახსენდა და შემეცოდა, რადგან მხოლოთ ახლა მივხვდი თუ რას გრძნობდა მუსავატი მაშინ.

შევპირდე? რა თანხიდან?

უარი უთხრა? რაღაც მეტათ სერიოზულათ მელაპარაკება. ღმერთმა იცის რას აპირებს.

ეჰ! თუ გაქვს ხასიათი ახლა უნდა გამოაჩინოთქო, ვიფიქრე.—შენ ხარ ქმარი თუ ისა?!

ჩემო კარგო! —დავიწყე დიპლომატიურათ.— მე ძალიან მინდა შეგიკერო კოსტიუმი. შენი კარგათ გამოწყობა ჩემზე უფრო ვის გაეხარდება! მაგრამ რა ვქნა, რომ არც ერთი გროში...

— მაშ არ გინდა შემიკერო?

— არ მინდა კი არა? არ შემიძლია.

კონფლიკტმა სერიოზული ხასიათი მიიღო და ჩვენ შორის დიპლომატიური დამოკიდებულება შეწყდა.

მიუხედავათ ამისა მაინც არ ველოდი თუ საქმე ასე ცუდათ გათავდებოდა.

„საქართველო და რუსეთი შერიგდა და მე და ელია როგორ ვერ მოვრიგდებით თქო“ — ვფიქრობდი ლოგინში.

II

მეორე დღეს საკმაოთ მოშივებული დავბრუნდი სამსახურიდან.

გზაზე გადავწყვიტე:

თუ 60 % მოგვიმატეს, უთუოდ უყიდი ჩემს ცოლს კოსტიუმს მეთქი.

ეს გადაწყვეტილება იმიტომ უფრო მივიღე რომ ვიცოდი ამ თვეში უბრათ სადილს ვერ ვჭამდი. საღამურ მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

— აბა სადილი ჩქარა!

— ქალბატონმა დაიბარა, ჩემ მოსვლამდე სადილად არ დაჯდეთო —მითხრა მოსამსახურემ.

— სად წავიდა ქალბატონი?

— არ უთქვამს. ამ დილას ცხრა საათზე წავიდა და ჯერ არ მოსულა.

ვერაფრათ მეჭაშნიკა, მაგრამ ვიფიქრე, ფულის სასესხებლათ წავიდოდათქო და დავიწყე გაზეთის კითხვა.

სათაურიდან დაწყებული რედაქტორ-გამომცემლამდე სულ გადავიკითხე. ჩემი ცოლი კი არ სად სჩანდა. ოთხ საათზე წავედი კანტორაში ღა-დილოთ.

საღამოს რაამბავი მოხდა ჩვენს ოთახში, ძნელი ასაწერია.

მე მხოლოთ ერთი რამ გავიგე: ჩემი ცოლი ინგლისელებთან შესულა სამსახურში.

ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში აკვეხებდენო.

მე დარწმუნებული ვარ, ვირს ისე არ შესძულდებოდა პიტნა, როგორც მე ინგლისელები.

და ჩემი მშვენიერი ცქრიალა ელია...

რაკი ელიამ კატეგორიულათ გადასწყვიტა ინგლისელებთან სამსახურს თავი არ დაანებოს და ჩემი ულტიმატუმი უპასუხოთ დასტოვა, მეც გადავსწყვიტე:

— უნდა გავეყარო.

ახლა, ამ სტრიქონებს რო ვსწერ ნაფიც ვექილის მისაღებ ოთახშ., ვზივარ და რიგს ვუცდი.

უნდა გავეყარო!

მე და ინგლისელი ერთ გვამში ვერ მოვთავსდებით!

გრ. სლუჩაინი.

თიანეთისათვის.

ამიღებს ზოგჯერ საგონი
გამისრევს როგორც შურდული,
თიანეთ მამაგონდება,
წმინდა გიორგი ბურდული;
კიკოლა მამულაშვილი,
ღალატ რო იცის ქურდული.—
ქავის კარს გამაამტვრევენ
რკინაც რო ედვას ურდული.
ბევრი გვყავ ნაპრისტავალი,
ნასტრაჟნიკალი, ჩაფრები.
სუყველა ბალშევიკობენ,
რომელ ერთ ჩაესაფრები.
ხალხს უხიბლავენ გზა კვალსა,
მიკიტნები ჰყავ ამქრები.
ვერსაით მოვა ზაფხული
თუ არ აშრება ნამქრები...
წკეპლას გააბამს ბაწრითა,
ბალლს მშვილდი ჰგონავ—ისრები,
ნიადაგ მაგას ჩაგვადენს
რუსის მონაგარ პისრები;
ბევრი შავი დღე გვინახავ
მაგათგან დანაკისრები.
დღესაც ისევა გვწველავენ,
დააქვ მორგვივით კისრები;
ტალახ წაგვისმენ პირზედა,
იმას ნუ ამბობ—ვისვრები.
ზოგ ამბობს: ერევნელი ვარ,
ზოგი—ვარ თებერვალისტი;
ყველა ძველ ჩინოვნიკია
ან ქევხა კაპიტალისტი.
თითომ დაწერა დღეშია
არზები შვიდი რვა ლისტი...
ვის ეგზავნიან ნეტარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნას ან დანაბარებსა;
შხამიან ჭიალუასა
კიდევ ვინ უღებს კარებსა!
რად არ დააქცევს გამჩენი
მაგათ თავშესაფარებსა...
  ხალხს ძლივ ეღირსა ერთხელა
ბედი და ბედნიერობა,
ჩვენს საქართველოს ოჯახსა
იცნობს მთელ ქვეყნიერობა;
რაკი თემობა დაწესდა,
შემოგვივიდა ერობა,—
ერთ ურთის სამსახურ გვინდა
ნიადაგ გვმართებს ფერობა.
  ჯერ ანა ბანა არ ვიცით,
წერა, არც სიტყვიერობა,
იმით გვაცდენს და გვატყუებს
ორგულთა გაიძვერობა.
  ღვდელ აღარ ამბობს იმასა—
არ ვარგა უსწავლელობა.—
თუ წახვალ ლოცვა ისწავლე
სხვა რად რა გინდა ხელობა;
ქვეყნისას ნუღარ იკითხავ,
გეყოფა მიწის მთხრელობა.
  დაგვრიშხნავს, დაგვემუქრება,—
შენ არა გეღირსება რა,
ეს ნუ გწამს, მაგას ნუ გასდევ,
არა, ეს არა, ეგ არა;
დრო სჯობდა—შენი სვე ბედი,
როცა ხემწიფეს ებარა!
ეხლა ხომ უფრო გაწუხებს
ხარჯი, ტანჯი და ბეგარა.
მთავარ ანგელოზ გიწყრება,
მზეს ღრუბელ ჩამოეფარა...
დაშინდებიან ზოგები,
ვისაც არ გაეგება რა.
  გადაგვირიეს ქალ რძალი,
წვრილ ფეხა ფილოსოფოსი.
მამიდა არქიელი გვყავ,
ბებია ეპისკოპოსი!
ბიჭ ბუჭი წვერ აწამები,
რარჩი, ვაჭარი, ზოგ ოსი
ისე მრავლდება დღითი დღე,
ვით ნეხვზე ფარა სოკოსი,
  დედა თუ დარეტიანდა,
ჯადოს გიმზადებს ფარულსა;
შვილს გაზრდის, ჭერში დამალავს
ომშიით გამოპარულსა...
ცოცხლად დაგმარხავს კაუკაცს
მემრე მოგძახებს არულსა.
შენ ვაი—დედას გაძახებს
მტერს ხომ კი ბარაქალურსა...
ხან სადმე დღეობა არი,
ხან ვის ქორწილში დავთვრები,—
აქ თვალ წინ გადამეშლება
ჩვენის დალუპვის დავთრები:
შეგროვდაბიან ბიჭები,
დეზერტირ-ნასალდათები;
ულვაშ იგრეხენ, ამბობენ
ჩვენ ვერას გვიქმენ თათრები.
შინ თუ ვერ დავემალები
ტყეში ალივით გავქრები...
— პასუხს ვერ გავცემ შიშითა,
მაშინებს ნაცარ მქაქრები.
შინ თუნდა ქალაქს დაგინგრევს
უსაქმოდ ნახალ ბათრები.
  „ჩვენ საქართველო არ გვინდა,
რუსეთ გაგვიწევს ძმობასა“
სტამბოლით მოვა თათარი
გიჟს ის მოიყვანს ცნობასა.
  რა ეშველება ამ ხალხსა,
ვაჟკაცთა უმიზნობასა;
ცეცხლს ველარ აყრის სირცხვილი
მამულიშვილურ გრძნობასა!
თავის თავს ვერა პატრონობს,
სხვაზე დაიწყებს გრძნობასა.
  ღმერთმა დალოცოს ქალაქი
მუშათ პარტიის ლაშქარი,
იმათ დაიცვეს სამშობლო
ჩვენც აგვაშორეს ზამთარი!—
აცოცხლოს პირველ ნუმერი
ძმობა-ერთობის ამქარი!..
  წითელ გვარდიის გმირები,
იმათ წინამძღოლ ჯულელი,
ნიადაგ მაგათ გატეხეს
თვითმყრობელობის უღელი!..
  ეს ჩემი გულის პასუხი
ფშავში დავწერე ქვაზედა:
ნურავინ წავა ჩვენგანი
ხალხის ღალატის გზაზედა;
გვიან ნუღარას ვინანებთ,
ადრე ვიაროთ ჭკვაზედა!
კაცსა კაცური ბუნება
ეტყობა სულის თქმაზედა.

ვინტარი

ყვითელი ტუფლები

საღამოს შვიდი საათი იყო, როდესაც სოფიო, მართასთან ერთად კლუბისაკენ გაემგზავრა ლოტოს სათამაშოთ.

— დღეს კვირაა, კლუბში ხალხი ბევრი იქნება, მოსაგებიც ბლომათ იქნებაო, ამბობდენ ისინი და გაჩქარებით მიეშურებოდენ კლუბისაკენ.

— ოხ ნეტავ კი მოვიგო მართაჯან, როგორ დაუყენებ თვალებს ჩემს მტრებს, როცა მონაგები ფულით ყვითელ ტუფლებს ვიყიდი.

— მოიგებ, სოფიოჯან, უეჭველათ მოიგებ! წუხელ მესიზმრა, ვითომ შენ ახალი ტუფლები გეცვა.

— შენს პირს შაქარი, ქალო, მეც ეგრე მითქვამს გული: ოჰ, ნეტავ ეგრეც იქნებოდეს.

სოფიომ და მართამ კლუბში დასაჯდომი ადგილი ძლივს იშოვეს, ისე იყო გაჭედილი დარბაზი ლოტოს მოთამაშეებით.

— კარტი! კარტი დავაიტე სუდა! —მიაძახეს მათ მოსამსახურე ქალს, რომელმაც სწრაფათ მიართვა სათამაშო ფურცლები.

— დვაციტ შესტ,-78-15 ყვიროდა ლოტოს მენომრე.

სოფიოს სულ ტუფლი ელანდებოდა. ოხ, რა ბედნიერი იქნება რო ეშმაკს თვალი დაუდგებოდეს და მართლა მოიგებდეს, რა სწრაფათ წამოიყვირებდა „довольна"-ს.

— ოჰ ღმერთო, შენი მუხლის ჭირიმე, მომაგებინე, მომაგებინე... ბუტბუტებდა ის და გული უფანცქალებდა, ოთხ ადგილას ზედი-ზედ დააწყო ლოგიოს მარცვალი კარტის ნომრებზე, მარტო ერთი ციფრი ღა 51 აკლდა.

— ქალო „აჟიდანიეე" მაქვს, უთხრა მართას სოფიომ და თან სიხარულით არ იცოდა რა ექნა. თვალი სულ ლოტოს აპარატისაკენ ქონდა.

— 33—41 20 ყვიროდა მენომრე.

— 51, შენი ჭირიმე, 51-ეხვეწებოდენ ორივე მოუთმენლათ მენომრეს, მენომრე კი თავისას განაგრძობდა.

— 51 რაღა, შე ოხრის შვილო, ღმერთო ღმერთო, ტუფლი, 51, ყვითელი ტუფლი, ახალი მოდნის... ბუტბუტებდა სოფიო და თან გულს ისეთი ბრაგა—ბრუგი გაქონდა, გეგონებოდა მიწა ინძრევა და გორი ხელახლა დაინგრევაო.

— „51"! დაიყვირა მენომრემ მოულოდნელათ.

— სოფიოს სიხარულისაგან გული კინალამ შეუწუხდა.

— ტუფლი! ტუფლი! ისე მძლავრათ დაიყვირა მან რომ მთელმა ხალხმა ხარხარი დაიწყო.

სოფიო შეკრთა. ის მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ „довольна-ს მაგიერ „ტუფლი" წამოიძახა და ეს იყო მიზეზი ამ ხალხის თავაშვებული ხარხარისა.

სოფიო გიჟივით გამოვარდა გარეთ. როცა ქუჩაში გადიოდა, ხალხი ბუზივით ირეოდა. ზოგი იცინოდა, ზოგი ლაზღანდარობდა.

— ამათაც გაუგიათ ამათაც—ფიქრობდა სოფიო და უკან მოუხედავათ გარბოდა შინისაკენ.

— ქალო, მოიცა მონაგები ფული მაინც წაიღე უყვიროდა მართა, რომელსაც სოფიოს მაგიერ მიეღო მონაგები ფული.

— მართაც დამცინის, მართაც, რაღა, ვქნა, რა მომივიდა, თვალცრემლიანი ამბობდა სოფიო და რაც ძალი და ღონე ქონდა გარბოდა შინისაკენ.

გ. ბომბოთელი.

დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელ კრების წევრი
აპოლონ სულაქველიძე.

დამფუძნებელ კრების წევრი
შევჩუკი.

აზერბეიჯანის წურბლები



მაშადი მუსტაფა ჰამშარ-ოღლი ყველაფრით კმაყოფილი იყო; 7 ფუთს იწონიდა და თითო ჯერზე ნახევარ ბატკანსა და ერთ გობ ფლავს მიირთმევდა. ერთი რამ აწუხებდა მაშადი მუსტაფას: სისხლმეტობა დასჩემდა და წურბელი ვერ ეშოვა, სისხლის გასართმევათ.

ერთხელ მუსტაფა ჰამშარ-ოღლი არხეინად იჯდა ფეხ-მორთხმული, ნარგილეს ეწეოდა და დინჯათ ოცნებობდა იმ წურბლებზე, კუზმა კომუნ-ოღლის რომ უნდა ჩამოეყვანა საბჭოთა მოსკოვიდან.



კუზმა კომუნ-ოღლიმ მართლაც შესანიშნავი წურბელები ჩამოუყვანა მოსკოვიდან მაშადი მუსტაფა ჰამშარ-ოღლის.

— სალოლ! ჩოხ სალოლ, კუზმა! ამბობდა გუნებაში კუზმა ჰამშარ-ოღლი და წურბლებს ტიტველ მსუქან ზურგზე ისხამდა.

წურბლები მშვენივრათ მოეწყენ მუსტაფას ნოყიერ ზურგის ტერიტორიაზე და ბეჯითად შეუდგენ თავის საქმეს.

წურბელები დასივდნენ და დაიბერენ. ჩვენს მუსტაფას კი ერთბაშათ 4 ფუთი დააკლდა წონაში.
— კმარა, კმარა, ეავალლა! — ყვიროდა მუსტაფა, მაგრამ საბჭოთა წურბელები ისე შეეზარდენ მის ზურგს, რომ მათი მოშორება შეუძლებელი გახდა.



ბოლოს წურბელებმა გამოსწოვეს მთელი მუსტაფა ჰამშარ-ოღლი და მხოლოდ ტყავი ანუ „ქეჩხო“ დასტოვეს მისი.
მაშადი მუსტაფას ტყავისაგან კუზმა კომუნ-ოღლიმ ცუდ-კაკა გააკეთა და საფრთხობელათ გამოჰკიდა ურჩებისათვის. ასე გაირთვა სისხლი მაშადი მუსტაფა ჰამ მარ-ოღლიმ.

შექანჯულებულის ლექსები.

I

ჩარი რამა, ჩარი, ჩარი.
ჭკუა იწვის, როგორც კვარი,
და მეც მიტომ ძლიერ ვჩქარი,
ლექსს ვკერავ, ვით ფეიქარი
დღეში მინდა ცხრა ფანქარი,
თავში მიქრის ზენა ქარი...
შევიძინო მსურს ქანქარი,
მაგრამ ვერსად ვერ ავკარი,
მიმიხურეს ყველგან კარი,
ალბად, არ მაქვს მე უნარი
შევქმნა ყალბი საბუთები,
(თუ როგორი—თქვენც მიხვდები)
და გავძარცვო სამინისტრო,
(შეურჩიო მე ამის დრო),
ან ქაღალდის საწყობები,—
შევძრა, ვძურწო ქაღალდები,
და ბონებად მყის ვაქციო...
ეჰხ, გამიგებს რედაქცია!!...
ან მწყალობდეს პროტექცია,
ვიგდო ხელთ დიდი ადგილი,
(იქ „იმის ქნაა“ ადვილი),
და როს ალვიჭურვი ნდობით,
მაშინ, სინდისო, მშვიდობით!!!..
„იმას“ „ჩავაიმასვიზამ“
უცებ პირს სხვა მხრისკენ ვიზამ...
მაგრამ... რას ვროშავ ყბედია?!!..
მე რომ არ მწყალობს ბედია...
ფიქრიც ვერ გამიბედია—
—ვიცი, დამიჭერს კედია,
მშვიდობით ძმაო, ფედია,
მსურს გადავლახო ქედია...
მზემა ამომწვა ქედია..
ტაში კეკე, ტაში მართა,
ტაში თებრო, ტაში ნინო!!!!...
თამაშობა გაიმართა,
მინდა რომ ჩამოგირბინო!!..
რავქნა, როგორ დავიძინო,
ცოლ-შვილი მსურს შევიძინო,...
მომათხოვე ძმავ, მაგი და,
თორემ მუშათა მაგიდა
ხომ ხედავ, გადაგვეკიდა,
ვინც რა „იმასქნა“, იფლიდა,
ყველაფერი გაუგია,
მიტომ ვსთქვი ეს აუგია,
(თედოს სახლი აუგია),
ჰო, და ახლა, უკვე მგონი
შეგვიმცირონ რაციონი.
არ მიიღეს ძმისწულები,
არც ძალუა, დისწულები,
არც ცოცხალთ, არც მკვდრის სულები,
აღარც სტუმრად მოსულები,
არ მიიღეს არც სიდედრი,
(საქმე არის მეტად მკვეთრი)
გამერია თმაში თეთრი...
ჯავრით გული გამილიზღდა,
არ მიიღეს არც ცოლის და.....
სულ ყველანი ამოსწერეს...
რაც ვსთხოვე, არ დამიჯერეს...
ეხლა სულ სხვა-აზრს ვადგივარ,
(და ნახავთ, თუ არ ვარგივარ),
მოვიკრიბე ჭკუა-გონი,
მალე პურის რაციონი
ნახავთ, კვლავ თუ არ გავზარდო?!
(ამ საქმეში არ ვარ მარტო,
და აბა, მე რათ ვიდარდო)
ავდგები და „შევირთავ“ ცოლს,
(გულის მომკვლელს, ან სულის სტოლს,
ამით დავძლევ „მუშათა ტოლს“)
რომ შვილთ ყოლის მექნეს შანსი,
თუ ვიხმარო აქ ავანსი,
არავის არ გაგიკვირდეს,
(ვით „გიჟირდეს“, ისთ „გილირდეს“
და ავანსად ჩავწერ შვილებს,
მცირე წლოვანთ-სულ წვრილ-წვრილებს,
სიდედრს გავიდედობილებ,
ცოლის დებს ყველას ვიშვილებ,
(ათ-ხუთმეტ წლის ქალიშვილებს)
ძმებად ჩავწერ მე ჩემს სტუმრებს,
სანამდე არ გავისტუმრებ,
(იაფ პურს ძმავ, ნუ იხუმრებ!)...
და ამგვარად სიას „ახალს“,
სიას „ახალს“ და არ ძველსა,
ყოველთათვის ხელ საყრელსა
იქ გავატან ჩემს მამიდას.
რომ მისცეს „მუშათ მაგიდას“. .
მაშ, რავქნა, ჩემო მამიდა,
რათ მინდა „მუშათ მაგიდა“,
თუ ზედ პური არა ვჭამე,
ჩემებს ყველას არ ვაამე...
პურის ფულმა დღე და ღამე—
თვალები გამომილამა,
ჩუქთად არ ვინ არ მაჭამა...
ჩარი, ბოშო, ჩარირამა,
არ ; ჩვენ გვაწყენს ზორბად ჭამა...
ბრძოლა ძმებო, ბრძოლა მამაპაპური,
თორემ მუშათ მაგიდისგან ილუპება კვლავ
პური...

II.

ლალები და ლალები,
გოგოვ, გენაცვალები,
რატომ არ გებრალები,
მუდამ ცეცხლის ალები

გვარტყია, ვით რკალები,
ხედავთ გიჟი ოსები,
კვლავ გვყავს დასაოსები,
ჰაე ნასტრაჟნიკალები,
და ნაჟანდარმალები,
ჩვენსკენ მოიჩქარიან,
ჩვენსკენ მოისწრაფიან,
(მით დღეს მოისწრაფიან)...
მაგრამ ოსებსა,
ისევ დასაოსებსა,
სჯობს, რომ დავამახსოვროთ,
ვინც გვაცხოვრებს, ვაცხოვროთ,
ვინ ‹ გვმტრობს—მტრულად ვეკვეთოთ,
(და ძირშივე მოვკვეთოთ)
ხალხის საქმე ვაკეთოთ,
ხალხისვე სასიკეთოდ,
და ვინც ამ დროს ხელს გვიშლის,
შური, მტრობა თუ შეშლის,
სჯობს ძალა, რომ ვაჩვენოთ—
დავაწყნარ-მოვასვენოთ,
ვინც ცდილობს დრო გვიშონოს,
და ისე დაგვიმონოს,
სწამდეთ, ვერ დაგვიმონებს,
ჩვენ დავგვით სულით მონებს...
თავს ვერვინ მომაწონებს,
მე ვჭამ სულ წყლიან მაწვნებს,
იცოდეთ-კი ვერ მავნებს...

III.

არც ვარ დოში, არც ვარ ღლავი,
არც კარგი ვარ, არც ვარ ავი,
არც ღომი ვარ და არცა ფლავი,
მიყვარს ლელვი და ქლიავი,
ქინძი, კამა და ქლიავი ..
აზერბეიჯანთან ზავი...
ეს არ არის საესავი,
არ მომიკვდეს თქვენი თავი,
კარგ მტერთან თუ საქმე გქონდეს,
აბა, გული ვით დაღონდეს,
იმისთანა შენი მტერი,
თუ რომ გყავს გლახა მტერი,
უჭკუო და ფლიდი, შტერი,
მუდამ სხვების ჰანგზე მმღერი,
არ ღირს მისი დამტერება,
არც ღირს მის დამოყვრება,
და ვინც მას არ გაეყრება,
კარგს ვერაფერს შეეყრება,
მასთან აბა, რაა ომი
რომ რაიმე იყვეს ზავი,
სჯობს ჩვენ ჩვენთვის ვჭამოთ ღომი,
და იმათ-კი სჭამონ ფლავი,
დეე, წაწყდენ, თუ წაწყდება,
მხოლოდ გული მიტომ მწყდება,
„იქ“ საბრალო ხალხი წყდება,
სანამ თლად არ ამოწყდება,
მას ალია ვერ მოხვდება,
თუ ეს ასე რატომ ხდება...
ნეტავ ერთი გამაქაჯა,
მთელი ქვეყნის მქონდეს აჯა,
მან, ვინც დააქცია განჯა,
ხალხი მუსრა და დატანჯა,
მოუვლინო რისხვა ციდან—
და აღვგავსო თლად მიწიდან,
ახი კია შენზედ ალი,
ცოტა შენიც არის ბრალი,
რომ „მოგინდა“ „გაწითლება“
(ძალიდ ეს არ შეიძლება):
„წითლებმა“ რა შეგამჩნიეს
„სიწითლე“ არ გადაგეკრათ?
ხმლებს ხელი ვით არ გაეკრათ?
ძალით გიწყეს გაწითლება;
ქუჩა, სახლნი და „პადვლები“
ვით სჩვეიათ, გააწითლეს,
ბევრი მოსრეს, ბევრი მოჰკლეს,
ბევრი სდევნეს და აიკლეს,
ხელი არაფერს დააკლეს...
შვილები დედებს დააკლეს....
ქალწულებსაც ხელი ახლეს...
და ვანდეა განაახლეს...
და ამ გვარათ, ამნაირად,
(თუმც იმათაც უზისთ ძვირად)
სოციალიზმ დაამყარეს...
ყველას თავი შეაყვარეს...
(ასე სცნობენ მტერ-მოყვარეს).
გუშინ თავში ჭკვა მომპარეს..
და ვილაცას მიაბარეს...

შექანჯულებული

საბჭოთა შაქარი.



საბჭოთა საქონლის მატარებელი რომ ჩამოვიდა აზერბეიჯანში, ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა:

— შეხედე, შეხედე, მამი!-ეუბნებოდა აღტაცებული პატარა ხასანა თავის მამას, ასლანას: შეხედე, რამდენი შაქარი ჩამოგვიტანეს კომუნისტებმა!

— აფერუმ, იტტიხად!—ყვიროდა ხასანა: გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს:

— ნეტავი ჩქარა დაგვირიგონ, მამი!—აღარ ცხრებოდა ასლანა.

— ჩქარა დაგვირიგებენ, შვილო, მაშ! ამშვიდებდა ხასანა და პირში ნერწყვი მოსდიოდა. მერე, რა ტკბილების დამზადება იცოდა მისმა ცოლმა, ლეილა-ხანუმამ!



მაგრამ შაქარის დარიგება რომ დაიწყეს განჯაში, ყველანი დარწმუნდენ, რომ ეს საბჭოთა შაქარი არც თუ ისე ტკბილი იყო და მუცელზედაც საშინლად მოქმედობდა.

ჩვენი დროის მილიონერები

სტარი ვეშჩი კამუ ესტ პრადათ!

— ეიც, ეიც, ეიც!

ჩულკი, ნასკი, ნიტკი!

მაწონ, მაწონი

ქათამი, გოჭი!

მთავარი სახელოსნოები.

განცხადებათა დაფაზე.

1-ლი განცხადება: რევოლიუციის და ხალხის მტრები არ ცხრებიან. 17 ივნისს ცენტრალურ გამგეობას თავს დაესხა მავიწყაძის რაზმი, რომელმაც გაიტაცა შრომის კომისიის ქვორუმი „ბრძანება № 17“ და კანტორის მოხელეთა კატეგორიები. მთელი რკინისგზის დემოკრატია აღშფოთებულია ამით, მაგრამ მიღებულია სათანადო ზომები გატაცებულ საგნების დასაბრუნებლათ. რაიონულ გამგეობებს ევალებათ ამხანაგების ადგილობრივად დამშვიდება. საერთო ცდით საშიშროებას ავიცდენთ.

ცენტრალური გამგეობა.

2-რე განცხადება: ანდრია ფირცხალავას და მერაბაშვილს, რომლებიც მუშაობის დროს მოწყობილ მიტინგზე აირჩიეს სასურსათო საკითხის მოსაგვარებლათ, პრესის ინტერვიუერსისთვის გადაუციათ: „სურსათის ბარათებით განაწილება ათაბეგვაშაკიძის „პრედრასუდკებია“. ჩვენ გამოვნახეთ საშვალება მუშების სავსებით დაკმაყოფილებისა.“ რაიონული გამგეობა აცხადებს ამას ამხანაგების საყურადღებოთ და მოუწოდებს მათ ხშირად მართონ ასეთი მიტინგები, რომელიც სასწაულ მოქმედ მოლვაწეებს გვაძლევს.

რაიონული გამგეობა.

ციც!

სურათი ქალაქ ფოთის ცხოვრებიდან.



გურული სცენა.

(ძველი ამბავი)

სამასი წელიწადი, რომ გავსძლო, მაინც არ დამავიწყდება ჩემი ჯვარისწერა—ქორწილი და მერე უბედურობა ჩხუბში. ნუგეშინია სხვასავით არ მიქნია ქორწილი მილოცვითდა წაბურვით. დავპაიჯე ყველე, გავამზადე საპამადი და რავაც შემეძლო ყველას პატივი ვეცი, მარა ამდონ სულში ერთი ვინმე „ქვეყნის უკეთესი“ მაინც უნდა გამორეულიყო და გამიერია კიდეც... გამევიდა ბესოიე გლახა და დეიწყო ქალებში უთავბოლო ღლაბუცობა. ზოგმა ქე გოუცინა, ზოგმა ქე მოუთმინა, ზოგმა თქუა თვრალიაო, ზოგმა ღვინის ბრალიაო, და ამ ქვეყნის გლახას ქე არ გოუვიდა გულს!... ადგა ბატონო და ჩემს დედუფალს არ დოუწყო ყველის ვაჭარსავით კბილების კრეჭა!.. მომივდა გული, მარა რავაც მაინძელმა ისევლე მე მევითმინე და პატიოსნად უთხარი: შენ ძამია! რომ გითმენენ იმიზა ყველას კი არ უნდა დააჟდე თავზე მეთქი... აგი რავა გამიბედე შენო და იყვირა: გამოდით ვინც ხართ აქანე, ლუკმად არ მეყოფით არცეთი, შენ მაინც თავიან ფეხებიანა გადაგულაპავო... მე უთხარი—ძამია, რაც გადაულაპე ჯერე იგიც არ მოგინელებია, აგერ-აგერ გადმოასხამ მაგ ღვინოს და მე რაფერ უნდა გადამულაპოთქვა... „გადი შენი“ ო... და ქე არ შიეხო ბიჭო დედას... რაი, დედამეთქი? და წამუარდი კიდეც... ვეცი მარა მისთანე შენს მტერს... ისე მუუქციე ცხვირი და, პირი რავაც ლობიეზა მისართავად დანაყილი ქონდარ-კამა-ნიახური, დამესია ცაი და ქვეყანა, დამიწყეს იქით აქით წიწვა და რავაც იყო ცოცხალ კვტარი გამომტიკნეს ხელიდან, გეიყვანეს იქიდან და ჭიშკარს გადალმიდან დამექადნა: „თუ გიქენი ნაქნარი მე ვიქნები ბიჭი თვარადა შენი ფეხი მაბანიეო“ მარა იმის მეტი არ გუუქანდა წელი, რაც იმას ჩემდა გლახა აფერი არ ექნას და იმისთანე ძმაკაცი სხვაი არ მყოლოდეს...

ახლა მგონი ასთე უნდა ჯავისხევის „სენიწირიმე“ ზოგიერთ ნასტაჟნიკალ—ნაკაჩალარ ოსებსაც...

რ. ჯიბილ.

ქრონიკა.

მუხრანის თემი. თითქმის თვე გადის, რაც მუხრანის თემის ახლად შეძენილი თავი (თავმჯდომარე) დ. თავბერიძე სადღაც გაიპარა. მას ახალ თანამდებობისათვის თავი არ ემჩნეოდა და როგორც ამბობენ მის საძებრად წასულა. ხმები დადის, რომ ის ისევ თფილისში აღმოჩენილა და თავის საყვარელ ხელობას—კომისარიატის მწერლობას დაბრუნებიაო.

თოფის დუმა.

ბოლშევიკების გაინგლისელება და ინგლისელების გაბოლშევიკება.

(საკ. კორ.)

კენ-ბრინჯის უნივერსიტეტის გამოჩენილმა პროფესორმა ჯან- ჯაუხმა ამ სათაურით წაიკითხა მეტათ საინტერესო მოხსენება.

მოხსენების პირველ ნაწილში პროფესორმა დაახლოვებით სთქვა: ბოლშევიკობა არ არის ეროვნული მცნება. ყოველ ეროვნების კაცს შეუძლია იყოს ბოლშევიკი. ბოლშევიკობა პროფესიაა და მეტათ ხელსაყრელი პროფესიაც. მისი უმთავრესი ლოზუნგი იყო და იქნება: **ჩემი ჩემია და შენიც ჩემია.**

ინგლისელი არ არის ნაცია—სთქვა მოხსენების მეორე ნაწილში პროფესორმა—ინგლისელობა პროფესიაა. ყოველ კაცს შეუძლია იყოს ინგლისელი. ამისათვის საჭიროა: კანონიერათ ცარცვა და ქრთამის აღების შნო და უნარი. ინგლისელების ლოზუნგი იყო და იქნება: **შენი ჩემია და ჩემიც ჩემია.**

ბათუმში ინგლისელების მართვა გამგეობამ საკმაოთ დაგიმტკიცათ ჩემი სიტყვების სიმართლე. როგორც ხედავთ—დაასკვნა ჯან-ჯუხმა, ინგლისელობა და ბოლშევიკობა ძალიან წააგავს ერთმანეთს, თითქმის ერთი და იგივეა. განსხვავება მხოლოთ სახელწოდებაშია. ამ ჟამათ კრასინსა და ლოიდ-ჯორჯს შორის სწარმოებს მოლაპარაკება.

შეიძლება ორივე მხარემ ერთი სახელი მიიღოს. ან ინგლისელები გაბოლშევიკდეს და ან ბოლშევიკები გაინგლისელდეს. ვიმეორებ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან არსებითად ეს ორი მცნება ერთსა და იმავეს ნიშნავს. ყველაზე უფრო ეს მზგავსება მუსლიმანებთან, თათრებთან დამოკიდებულებაში სჩანს. განჯამ გადააჭარბა კიდეც სტამბულს—დაასრულა პროფესორმა ჯან-ჯაუხმა.

ბათუმის საზოგადოება დუმილით შეხვთა პროფესორის განცხადებას. ყველაზე უფრო აჭარლები სდუმდენ.

გრ. სლუჩაინი.

ქ. ზესტაფონი

(შორაპნის მაზრა).

ქ. ზესტაფონში ადგილობრივ ვაჭრის ცოლ
ქ. ქ. ბალლაკელიძისა და კუპატაძის ინიცი
უკვე დაარსდა ადგილობრივ მოვაჭრე ა. ა
სახლში „ვაჭრის ცოლებთა სახალხო უნივ
როგორც სარწმუნოთ გაკიგეთ ლექტო
წვეულნი ყოფილან საუკეთესო ძალები

ბით მოწვეულია ბოსლევის უნივერსტეტის ახლათ კურს დამთავრებული ფილოსოფიის დოქტორი მღვდელი ქსენია ლამბაშიძე. სახალხო უნივერსტეტში წევრებათ მიიღებიან მხო ოთ ვაჭრების ცოლები. უკანასკნელნი ვალდებულნი არიან ყოველ ორშაბათობით ერთად შეკრებულმა ილოცონ ეკლესიაში თანამედროვე გაჭირვებებზე (თათრებთან ომი, თანამედროვე სიძვირე, გვალვა, სე*ყვა და სხვა...) და შემდეგ ა. კუპატაძის სახლში გამართონ ქეიფი „სამღვთო“-ს გადახდით.

პირველი საზეიმო სხდომა აღნიშნული უნივერსტეტისა უკვე მოხდა მიმდინარე წლის 31 მაისს ადგილობრივ ეკლესიაში, რომელიც დამთავრდა განუსაზღვრელი ქეიფით ა. კუპატაძის სახლში. წევრები ბლომათ დაესწრენ. ჯერ ჯერობით ჩაწერილნი არიან 60 ვაჭრის ცოლი. გრძელდება წევრთა რეგისტრაცია. მსურველებმა უნდა მიმართონ შემდეგი მისამართით: ქ. ზესტაფონი, საკუთარ სახლში, ფ. ა. კუპატაძისა, დილის 9-12 საათამდე და საღამოს 5 საათიდან მეორე დღის დილამდე.

პროლეტარი

ოცნება და სინამდვილე

2. სინამდვილე.

ური ამოჩნდა ნამდვილათ კომუნისტური ცხოვრება.

სახელმწიფო სტამბა.